16/12/21-02

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „ფორმატი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ გუგუნაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის(5 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვა) შესაბამისად, ვდებთ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი.
1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საკანცელარიო 8 ცალი წებო და 25 ცალი სკოჩი (სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები-CPV 24900000).

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს დღგ-ს გათვალისწინებით არა უმეტეს 31.95 (ოცდათერთმეტი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს (27.08 ლარი დღგ-ს გარეშე), მათ შორის: წებო მშრალი, Ca-9508 4 ცალი - 3.24 ლარი, წებო მშრალი, Ca-9535 4 ცალი - 10.56 ლარი, სკოჩი პატარა De-30011, გამჭვირვალე 10 ცალი - 1.80 ლარი, სკოჩი უხილავი De-30110, 10 ცალი - 7.30 ლარი, სკოჩი მოსახევი FO60203 5 ცალი - 9.05 ლარი.

## 3. შესყიდვის ობიეტის ხარისხი და გარანტია

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება მაღალი დონის.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა განისაზღვრება 2016 წლის 21 დეკემბერიდან 2016 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.4.1. უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში, შეცვალოს იგი იგივე სახის და ფასის ხარისხიანი საქონლით.
7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 21 დეკემბრიდან 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას, მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ოფისის მენეჯერი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| „შემსყიდველი“<br>სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ | „მიმწოდებელი“<br>შპს „ფორმატი“ |
| ქ. თბილისი. ზარათაშვილის ქ. №2<br>ტელ. 240-14-20<br>სს „თიბისი ბანკის“ ვერის ფილიალი<br>ბანკის კოდი TBCBGE22<br>ა/ა GE76TB7505936030100001<br>საიდენტიფიკაციო კოდი 205170036 | ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №4ა<br>ტელ. 2 187 187<br>სს „თიბისი“ ბანკის ც/ფილიალი<br>ბანკის კოდი TBCBGE22<br>ა/ა GE42TB 0600 0000 0246 7773<br>საიდენტიფიკაციო კოდი 204872575 |
| გენერალური დირექტორი<br>ვახტანგ ამბროკაძე | გენერალური დირექტორი<br>ვახტანგ გუგუნაძე |